

**საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2017-2020 წწ.)**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**  
**(პროგრამული კოდი 35 00)**

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**  
**ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა**  
**და შრომის დაცვა**

**პროგრამის დასახელება:** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (35 01)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:**

- ✓ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- ✓ შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ✓ სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- ✓ ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება;
- ✓ სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია;
- ✓ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა;
- ✓ სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება;
- ✓ საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;

- ✓ ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა;
- ✓ საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა;
- ✓ ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვა.

#### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები;
- ✓ საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისები;
- ✓ ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- ✓ ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული მომხმარებელი;
- ✓ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები;
- ✓ უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა;
- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ღონის ამაღლება და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება;
- ✓ საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**პროგრამის დასახელება:** მოსახლეობის სოციალური დაცვა (35 02)

**პროგრამის განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**პროგრამის აღწერა და მიზანი:**

- ✓ მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;
- ✓ საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;

- ✓ შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია;
- ✓ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობების, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტის, ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა, ასევე შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- ✓ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის/სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, სამედიცინო პერსონალის დანამატების დაფინანსება - ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის - პენსიის ერთმაგი ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის), მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ სთ ელექტროენერგიის საფასურისა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები;
- ✓ მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, პრევენცია;
- ✓ შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა;
- ✓ ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (35 02 01)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (მალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ✓ მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიკური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (35 02 02)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

### **ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობების, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტის, ლტოლვილთა-დევენილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა;
- ✓ შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა.

### **განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

### **ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (35 02 03)

### **ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

### **ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფით;
- ✓ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში გაკეთებული განაცხადის საფუძველზე სოციალური მუშაკი ავლენს სამიზნე ჯგუფს, რომლისთვისაც ხორციელდება საქონლის/მომსახურების შესყიდვა და გადაცემა, ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება;
- ✓ ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიკაცია, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება და მულტიდისციპლინური გუნდის ერთი ან, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის მიერ ბავშვის საბაზისო უნარების განვითარება, მშობლის/მინდობით აღმზრდელის მომზადება (მათ შორის, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება). ქვეპროგრამის მიზანია განვითარების შეფერხების რისკის ან შშმ ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ✓ ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ინტერდისციპლინური გუნდის მიერ ხორციელდება ბავშვთა ცერებრული დამბლის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის, დაუზუსტებელი) პირველადი დაზიანების, ჰემი-, პარა და ტეტრაპლეგიის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების შედეგების, ანთებითი

- პოლინეიროპათიების შედეგების, პერიფერიული ნერვული სისტემის სამშობიარო ტრავმის შედეგების მქონე 3 წლისა და მეტი ასაკის შშმ ბავშვების, აგრეთვე ამავე მდგომარეობების მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ფიზიკური, ოკუპაციური, მეტყველებისა და ენის თერაპიის და, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური კორექციისა და ქცევითი თერაპიით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ✓ ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ან ხანდაზმულ (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ომის მონაწილეებს უტარდებათ ინდივიდუალური სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო კურსი. ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ან ხანდაზმულ (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ომის მონაწილეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება/გაუმჯობესება;
  - ✓ დღის ცენტრების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების, შშმ ბავშვების (მათ შორის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების) და შშმ პირების დღის მომსახურების მიწოდება, რომელიც მოიცავს: ყოველდღიურ (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) ორჯერად კვებას, ბენეფიციართა აკადემიური საჭიროებების გამოვლენას/დაკმაყოფილებას, საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას, შშმ პირების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების) შემთხვევაში ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზებას, შშმ ბავშვთა ხელშეწყობას ინკლუზიური განათლებისათვის. ქვეპროგრამის მიზანია მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და შშმ ბავშვების/პირების ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია;
  - ✓ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში სპეციალური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დამხმარე საშუალებების საჭიროების მქონე ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და ხანდაზმულებზე გაიცემა სავარძელ-ეტლები და ხორციელდება შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა, ასევე გაიცემა საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებები, სმენის აპარატები, ყავარჯნები, ხელჯოხ-ყავარჯნები, უსინათლოთა ხელჯოხები და გადასაადგილებელი ჩარჩოები, ხორციელდება 25 კოხლეთარული იმპლანტის შეძენა/გადაცემა და რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია;
  - ✓ ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოში მცხოვრებ ყრუ პირებს საქართველოს (ქ. თბილისის გარდა) მინიმუმ რვა რეგიონში მიეწოდებათ 10 სურდოთარჯიმნის მომსახურება (თითოეულ ამ რეგიონში მინიმუმ ერთი სურდოთარჯიმანი). ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ყრუ პირების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
  - ✓ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პრობლემების მქონე დედას 10 წლამდე ასაკის შვილ(ებ)თან ერთად, ასევე სხვადასხვა პრობლემების მქონე ქალს, რომელიც ორსულობის არანაკლებ 26-ე კვირაში იმყოფება (მათ შორის, 10 წლამდე ასაკის შვილ(ებ)თან ერთად, თუკი ეს უკანასკნელ(ნი) მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან) მიეწოდება მომსახურება, რომელიც მოიცავს 24-საათიანი თავშესაფრით, კვების პროდუქტებით, ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის

აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას, პროფესიული და არაფორმალური განათლების მიღებაში დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, ფსიქოლოგის მომსახურებას, სხვა დამატებითი საჭიროებების უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის მიზანია ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება;

- ✓ მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების განთავსება ხორციელდება მიმღებ ოჯახებში, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში, სადაც ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხორციელდება მის ინდივიდუალურ განვითარებისა და საჭიროებების შესაბამისი 24 საათიანი ზრუნვა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერება თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. ქვეპროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდა;
- ✓ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის ფარგლებში მზრუნველობამოკლებული ბავშვების განთავსება ხორციელდება მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, სადაც ბენეფიციარებს მიეწოდებათ 24-საათიანი მომსახურება - მინიმუმ სამჯერადი კვება, სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა, ყოფითი უნარების სწავლება, განათლების მიღებაში დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, საქართველოს კურორტებზე, ზედიზედ არანაკლებ 12 დღის განმავლობაში დასვენება, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება. ქვეპროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა;
- ✓ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებს მიეწოდებათ მობილური ჯგუფის (ფსიქოლოგი, მძღოლი, თანასწორ განმანათლებელი), დღის ცენტრის, ტრანზიტული ცენტრის, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურება. ქვეპროგრამის მიზანია 18 წლამდე ასაკის ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია;
- ✓ სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამიზნე ჯგუფის წევრთა საცხოვრებლით, სამჯერადი კვებით, სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა, საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. ქვეპროგრამის მიზანია 18 წლისა და უფროსი ასაკის შშმ პირებისა და ხანდაზმულებისთვის (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა;
- ✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის ფარგლებში 7-დან 18 წლამდე ასაკის, ერთდროულად, არაუმეტეს 40 ბავშვისა ქ. თბილისში, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას იღებენ თვეში მომვლელის - 36 საათის, განვითარების სპეციალისტის – 5 საათის და მულტიდისციპლინური გუნდის სათანადო სპეციალისტ(ებ)ის (ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, პედიატრი, სოციალური მუშაკი) – თვეში 3 საათის მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ✓ მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის ფარგლებში

მცირე ზომის სპეციალიზებულ დაწესებულებაში, რომელიც განკუთვნილია არაუმეტეს 6 ბავშვზე, ბენეფიციარები იღებენ 24 საათიან მომსახურებას, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდებას. ქვეპროგრამის მიზანია შშმ ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება და სპეციალიზებული ზრუნვა.

#### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა; სილატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი საჭიროებები დაკმაყოფილებულია;
- ✓ 1 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მინიჭებული აქვთ 57 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა უზრუნველყოფილია ხელოვნური კვების პროდუქტებით;
- ✓ განვითარების შეფერხების რისკის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარება სტიმულირებულია, რომლის საფუძველზე მათი სოციალური ინტეგრაცია ხელშეწყობილია;
- ✓ უზრუნველყოფილია სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტაცია/აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობა გაუმჯობესებულია/შენარჩუნებულია, ადაპტაციური შესაძლებლობები გაძლიერებულია და სოციალური ინტეგრაცია ხელშეწყობილია;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ან ხანდაზმული (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ომის მონაწილეები უზრუნველყოფილი არიან რეაბილიტაციის კურსით, რაც ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- ✓ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და შშმ ბავშვების/პირების მომსახურებაში ჩართვით მათი ოჯახები მხარდაჭერილია და უზრუნველყოფილია მიტოვების პრევენცია;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმულები უზრუნველყოფილნი არიან დამხმარე საშუალებებით, რომელიც ხელს უწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას.
- ✓ საქართველოში მცხოვრები ყრუ პირებისათვის სურდოთარჯიმნის მომსახურებით ხელშეწყობილია მათი სოციალური ინტეგრაცია;
- ✓ ბავშვთა მიტოვების პრევენცია უზრუნველყოფილია;
- ✓ მზრუნველობამოკლებული ბავშვები იზრდებიან ოჯახურ გარემოში;
- ✓ მზრუნველობამოკლებული ბავშვების აღზრდა ხორციელდება ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში;
- ✓ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვთათვის გათვალისწინებული მომსახურებების მიწოდებით უზრუნველყოფილია მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- ✓ 18 წლისა და უფროსი ასაკის შშმ პირები და ხანდაზმულები (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) უზრუნველყოფილნი არიან 24 საათიანი, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული მომსახურებით;
- ✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია განხორციელებულია და მიტოვების პრევენცია უზრუნველყოფილია;
- ✓ მზრუნველობამოკლებული შშმ ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული ზრუნვითა და მოვლით.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**პროგრამის დასახელება:** სოციალური შედავათები მაღალმთიან დასახლებაში (35 02 04)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

### **პროგრამის აღწერა და მიზანი:**

- ✓ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შედეგების დაფინანსება: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის დანამატი პენსიის 20%-ის ოდენობით; სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით; დანამატი, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე (ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის - პენსიის ერთმაგი ოდენობით). ასევე, განხორციელდება აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა).

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:**

- ✓ გაუმჯობესდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები მიიღებენ სახელმწიფო გასაცემელს გაზრდილი ოდენობით.

### **პროგრამის დასახელება:** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (35 03)

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

### **პროგრამის აღწერა და მიზანი:**

- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;
- ✓ გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და C ჰეპატიტის მართვა;
- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოპათოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით,

თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;

- ✓ საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში.

#### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:**

- ✓ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა; სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება;
- ✓ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
- ✓ ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა;
- ✓ გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- ✓ ტუბერკულოზით, აივ-ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება;
- ✓ ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება;
- ✓ C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება;
- ✓ საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 01)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისები; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლების შემცირება;
- ✓ სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (35 03 02)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

### **ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება.

### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- ✓ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
- ✓ ტუბერკულოზით, აივ-ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდემიოლოგიის სისტემის გაუმჯობესება;
- ✓ ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული ავადობის შემცირება;
- ✓ C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.

### **განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება:** დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (35 03 02 01)

**ქვეპროგრამის/ლონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

### **ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ დაავადებათა ადრეული გამოვლენის და გავრცელების შეზღუდვის მიზნით, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი (გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით); 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა.

### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი;
- ✓ 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი;
- ✓ 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი;
- ✓ 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი; 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა;
- ✓ ეპილეფსიის ადრეული გამოვლენა.

### **განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება:** იმუნიზაცია (35 03 02 02)

**ქვეპროგრამის/ლონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

### **ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ მოსახლეობის დაცვის და შესაბამისი მარაგების შექმნის მიზნით, ვაქცინების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა; სპეციფიკური (ბოტულიზმის,

დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე; წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკის წარმოება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ეპიდზედამხედველობა (35 03 02 03)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება; მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების სამოქმედო არეალზე ეპიდზედამხედველობითი ღონისძიებების განხორციელება; მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლი; ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა; გრიპის სეზონური გავრცელების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა (მ.შ. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა) და განხორციელება; გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლის, გამოვლენის, ადექვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** უსაფრთხო სისხლი (35 03 02 04)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე;
- ✓ ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- ✓ სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა;
- ✓ სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (35 03 02 05)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება;
- ✓ ინფექციური სნეულებებით დაავადებული პირებისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ლაბორატორიული მართვა, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი); ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მ.შ. პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება; ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ხანგრძლივადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით;
- ✓ ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება;
- ✓ ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების შემცირება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** აივ ინფექცია/შიდსის მართვა (35 03 02 08)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან);
- ✓ აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფა (მ.შ. აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა).

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა;
- ✓ ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა;
- ✓ შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: ანტენატალური მეთვალყურეობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის სკრინინგი; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე;
- ✓ ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე;
- ✓ ანტენატალური ვიზიტით მოცვა;
- ✓ მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე;
- ✓ მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 02 10)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა;
- ✓ ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ჯანმრთელობის ხელშეწყობა (35 03 02 11)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** C ჰეპატიტის მართვა (35 03 02 12)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირების მიზნით, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (სოფოსბუვირი, პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი) უზრუნველყოფა; მედიკამენტების ლოჯისტიკა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა;
- ✓ C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (35 03 03)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოპედატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;
- ✓ არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო-გადაუდებელ შემთხვევებში) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;
- ✓ ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალობის შემცირება;
- ✓ პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ფსიქიკური ჯანმრთელობა (35 03 03 01)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება;
- ✓ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- ✓ ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია;
- ✓ თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;
- ✓ ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება;
- ✓ ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.
- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;
- ✓ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** დიაბეტის მართვა (35 03 03 02)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება;
- ✓ სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება;
- ✓ შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება;
- ✓ პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა;

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ 18 წლამდე ასაკის ონკოპემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ონკოპემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა;
- ✓ ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება;
- ✓ თირკმლის ტრანსპლანტაცია;
- ✓ ორგანოგადანერგვით იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტთა სისხლმარღვოვანი მიდგომით უზრუნველყოფა;
- ✓ თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით მოცვა;
- ✓ თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა დიალიზით.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა;
- ✓ ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა;
- ✓ ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება;
- ✓ იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება;
- ✓ ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები;
- ✓ ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება;
- ✓ სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** სოფლის ექიმი (35 03 03 08)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის - ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების

საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);

- ✓ სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;
- ✓ შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება;
- ✓ სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა;
- ✓ სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ სოფლის ექიმთან მიმართვები;
- ✓ ქვეპროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმები/ექთნების რაოდენობა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება და დამატებითი გამოკვლევების ჩატარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ სამხედრო ძალების შევსების განხორციელება ჯანმრთელი კონტინგენტით.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება:** დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (35 03 04)

**ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი:**

- ✓ იმ დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობების განსაზღვრა, რომლებშიც მზადდება დაფინანსდება და აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობის განსაზღვრა;
- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იმ მუნიციპალიტეტების

ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლებისთვისაც განხორციელდება მაძიებლების დაფინანსება;

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება მაძიებელთა შერჩევა პროგრამით განსაზღვრული „საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესის“ მიხედვით;
- ✓ სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

#### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ✓ დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**პროგრამის დასახელება:** სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (35 04)

**პროგრამის განმახორციელებელი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

#### **პროგრამის აღწერა და მიზანი:**

- ✓ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;
- ✓ სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

#### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.

**პროგრამის დასახელება:** შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

#### **პროგრამის აღწერა და მიზანი:**

- ✓ შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, რეკომენდაციების მეშვეობით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება;
- ✓ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის კონსულტაციების გაწევა, მომსახურებების განვითარება, შეზუღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა

დასაქმების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნის პერიოდული კვლევების განხორციელება და სამუშაოს მაძიებელთა დროებით დასაქმების ხელშეწყობა;

- ✓ ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება;
- ✓ მონაცემთა შეგროვების მეთოდის
- ✓ შემუშავება და დანერგვა;
- ✓ ინფორმაციის წყაროების გამოვლენა და სრულყოფა დამატებითი კვლევების საფუძველზე; შრომის ბაზრის კომპონენტთა უწყვეტი კვლევა; შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გავრცელება;
- ✓ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება;
- ✓ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომზადებული სტანდარტები;
- ✓ რეგისტრირებულ სამუშაოს-მაძიებელთა ზრდა;
- ✓ პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა.

**განხორციელების ვადები:** მიმდინარე.